

შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად:

ნახევარგამტარული და რადიაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ადგილების რაოდენობა - 1 (ერთი) არასრული სამტატო განაკვეთი

თანამდებობრივი სარგო - 800 ლარი.

მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის კონკურსის პირობები:

ფუნქციები:

მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპის მისაღებად მოსამზადებელ სამუშაოებში, ინსტალაციაში მონაწილეობის მიღება, მიკროსკოპის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მისი ტექნიკური მდგომარეობის მუდმივი ინსპექტირება და მისი მომსახურება მწარმოებლის მიერ დადგენილი მეთოდებითა და ინსტრუქციებით. ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება -ტრენინგი მიკროსკოპზე სამუშაოდ. მასალების (ლითონების, ნახევარგამტარების, დიელექტრიკების, თხელი ფირების, ელექტრონული და მიკროელექტრონული ტექნიკის კომპონენტების, ნანომასალების, პოლიმერების) მორფოლოგიის, შედგენილობის, სტრუქტურის კვლევები ყველა იმ მეთოდისა და დეტექტორის გამოყენებით, რომლებითაც აღჭურვილი იქნება მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპი. მიღებული შედეგების ანალიზის წარმოდგენა მაღალი გარჩევისუნარიანობის (ნანომეტრების დონეზე) გამოსახულებების, აგრეთვე გრაფიკების, მასალაში ელემენტთა განაწილების რუკების, ჰისტოგრამებისა თუ ტექსტური ანგარიშების სახით.

დამატებითი მოთხოვნები:

ზოგადი განათლება მყარი სხეულებისა და კონდენსირებული გარემოს ფიზიკის (ან მომიჯნავე სპეციალობების) მიმართულებით. სპეციალიზაცია მასალათმცოდნეობის ფართო სფეროში, რომელიც მოიცავს ლითონების, ნახევარგამტარების, დიელექტრიკების, თხელი ფირების, ელექტრონული და მიკროელექტრონული ტექნიკის კომპონენტების, ნანომასალების, პოლიმერების ფიზიკასა და ტექნოლოგიის დარგებს. აღნიშნული მასალების შედგენილობის, სტრუქტურისა და მორფოლოგიის კვლევის თანამედროვე ექსპერიმენტალური მეთოდების ღრმა ცოდნა და სამუშაო გამოცდილება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღრმა გამოცდილება ისეთი პრეციზიული ანალიტიკური მეთოდების მიმართულებით, როგორებიცაა მასკანირებელი და ტრანსმისიული ელექტრონული მიკროსკოპია, აგრეთვე მასალის შედგენილობის მიკროდონეზე ანალიზისთვის განკუთვნილი, მახასიათებელი რენტგენული გამოსხივების ენერგოდისპერსული ანალიზი (Energy Dispersive Spectroscopy –EDS).

განათლება:

- უმაღლესი ტექნიკური ან საბუნებისმეტყველო განათლება;
- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება :

- ინსტიტუტის საქმიანობის მიმართულებებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;

კანონმდებლობის ცოდნა :

- საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“;
- „საქართველოს შრომის კოდექსის“ ზოგადი ცოდნა;
- სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის წესდება;
- „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი ცოდნა;
- უსაფრთხოების ტექნიკის დაცვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები;

ენების ცოდნა:

- სახელმწიფო ენის კარგად ცოდნა;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

კომპიუტერის ცოდნა:

- Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint, ინტერნეტი - კარგად ცოდნა. სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება:
- კვლევების შედეგების სისტემატიზაციის, ანალიზის, პუბლიკაციების, ანგარიშების მომზადების და პრეზენტაციის უნარი.

კომპტენციები :

- გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი, საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი, გუნდურად მუშაობის უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, კომუნიკაბელურობა, პროფესიონალიზმი, პროდუქტიულობა.

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია :

- განცხადება არსებული ფორმის შესაბამისად;
- განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია/CV;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
- შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა, მისამართი).

არსებობის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;

- პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

შენიშვნა:

1. აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენლობა ან არაჯეროვანი სახით წარმოდგენა გამოიწვევს კონკურსანტის მოხსნას კონკურსიდან.
2. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და შემდეგ დასკანერებული სახით წარმოდგენილი.
3. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

I ეტაპი - განაცხადების გადარჩევა, რაც გულისხმობს კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენას ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

II ეტაპი - შერჩეული განაცხადების საფუძველზე მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტის გასაუბრება საკონკურსო კომისიისათვის.

შერჩევის მეორე ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა მონაცემებიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

გასაუბრებაზე კონკურსანტის დროულად არგამოცხადების შემთხვევაში, იგი მოიხსნება კონკურსის მეორე ეტაპიდან.

კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კონკურსანტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად ელ ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge 2022 წლის 3 ოქტომბრის 10 საათიდან 4 ოქტომბრის 18 საათამდე. (შაბათ-კვირის გარდა).

– კონკურსი გაიმართება 2022 წლის 5 ოქტომბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:

ხათუნა ლომიძე

ტელეფონი 599959913